*დანართი №1*

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ კოლეჯ მოდუსის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი

**წევრები:**

აკაკი სადუნიშვილი

ალექსანდრე კეკენაძე

ირმა ღარიბაშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

  

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

  

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15.01.2026 წლის N28852 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ მოდუსში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-End დეველოპმენტი“ და „შედუღება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, ასევე ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 5 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ მოდუსში, (მის: ქ. რუსთავი, შარტავასგამზ.N4). აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში. აღსანიშნავია რომ, წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო როგორც შესაბამისობის, ასევე განვითარების რეკომენდაციები. მიმდინარე წარმოების დროს დოკუმენტაციის ანალიზისა და საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა ყველა განმავითარებელი რეკომენდაცია.
ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







**III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ**

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| FRONT-END დეველოპმენტი | 30 | 14 | 1 | |
| შედუღება | 30 | 9 | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**

**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| FRONT-END დეველოპმენტი | ■ შეესაბამება | ■ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

  

| | | |
|---|---|---|
| | ☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| შედუღება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

## VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებულია, რომ სრულად ეთანხმება დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული იყო ტექნიკური შეცდომა, რაც ექსპერტმა ჯგუფმა მყისიერად გაასწორა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

  

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

### 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

#### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4. უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, კოლეჯის სარგებლობაშია 25000კვ.მ ფართობი და მასზე არსებული NA და NB სასწავლო კორპუსები, საერთო ფართით - 4434.54 კვ.მ.; N4 სასწავლო სახელოსნო საერთო ფართით -2375,85 კვ.მ.; N5 ავტოფარეხი სასარგებლო ფართით – 244,19 კვ.მ; საქვაბე სასარგებლო ფართით – 72 კვ.მ. და არასასოფლო სამეურნეო ფართი - 17873, 42 კვ.მ. ზემოაღნიშნულ ფართზე მოწყობილია: ა) A, B და C ტიპის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორიები/სასწავლო სახელოსნოები, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია; ბ) ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის სამუშაო სივრცე - სამასწავლებლო; გ) საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა/სამკითხველო, FAB LAB, პროფესიული სტუდენტებისათვის სარეკრეაციო სივრცე; დ) სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის; ე) სასაწყობე ფართი. დაწესებულებაში მოწყობილია სპორტული მოედანი; განაშენიანება; გამწვანება; საზაფხულო ფართი; სათბური -240 კვ.მ; საბავშვო ოთახი; ვერანდა. რუსთავის მისამართის A კორპუსში გამოყოფილია ოთახი არქივისთვის. კოლეჯის სასწავლო, სამუშაო და საერთო სივრცეები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკით. ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში რიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას.

**რუსთავის მისამართზე მოწყობილია ახალი სამსართულიანი შენობა - C კორპუსი, სადაც დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა ზოგადი ინტეგრირებული მოდულის „ სპორტი“ განხორციელება, თუმცა წინა წარმოების ფარგელბში დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა, შენობა არ იყო დაფიქსირებული საჯარო რეესტრში და ასევე იყო შეტანილი საევაკუაციო გეგმაში. დაწესებულებას დამტკიცებული ჰქონდა დირექტორის 2025 წლის 5 თებერვლის N10990 ბრძანებით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გულისხმობდა 2025 წლის ივლისისთვის, ახალი შენობის უსაფრთხოების დოკუმენტის მიღების, საევაკუაციო გეგმაში ასახვისა და საჯარო რეესტრში დაფიქსირების უზრუნველყოფას. ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი.**

**მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა C კორპუსის ექპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებული დოკუმენტები და შენობის მდგრადობის დასკვნა, თუმცა დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ დათქმულ დროში რიგი მიზეზების გამო ვერ მოესწრო ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელება. ამის გამო, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,სპორტი“ გარემო გადმოიტანეს კოლეჯის A კორპუსში. რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ძირითად სასწავლო კორპუსს. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ მიმდინარე ეტაპისთვის, C კორპუსი არ არის გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ,,სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N82 ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (ბოლო ცვლილება 2025 წლის 25 ნოემბრის N1676576 ბრძანება) მე-12 მუხლი ადგენს, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პროცესში უზრუნველყოფილი იქნას მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, გამოიყენოს ბიბლიოთეკა სასწავლო მიზნებისთვის, ისარგებლოს სტუდენტებისათვის განკუთვნილი კომპიუტერული საინფორმაციო ქსელით, ასევე პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსის არ ქონის შემთხვევაში, დირექციასთან შეთანხმებით, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 დეკემბრის N390 ბრძანების „სსიპ კოლეჯის მოდუსის საინფორმაციო ინფრასტუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“, დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკით და რესურსებით სარგებლობა შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს. პროფესიული სტუდენტების მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ კონსულტირება შედის სტუდენტური სერვისების მხარდამჭერის სპეციალისტის მოვალეობაში.

ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში შიდა და გარე სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფისთვის ხელშეკრულება გაფორმებულია დამლაგებლებთანდა მეეზოვესთან.მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და სამუშაო აღწერილობის მიხედვით, ევალებათ კოლეჯის შესაბამისი სივრცეების დასუფთავება. დამლაგებლების/მეეზოვის მიერ მოვალეობის ჯეროვნად შესრულებასა და კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე რუსთავის მისამართზე პასუხისმგებელია ლოჯისტიკის სპეციალისტი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ჟურნალი - „სამუშაო/სასწავლო ადგილების, სამუშაო/სასწავლო სივრცეებისა და გამოყენებული სამუშაო/სასწავლო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი“, რომელშიც მოცემულია დეზინფექციის ჩატარების თარიღი, დრო, სამუშაო სივრცე და აღჭურვილობები და შემსრულებლის ხელმოწერა. დათვალიერების შედეგებით, კოლეჯის შესაბამისი სივრცეები მოწესრიგებულია. სველი წერტილები მარაგდება წყლით, დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია წყალმომარაგების საგადასახადო ანგარიშფაქტურები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც ფუნქციონირებს ბუნებრივი აირით. იგი უზრუნველყოფს გათბობით ყველა სასწავლო აუდიტორიას, ლაბორატორიას, სასწავლო სახელოსნოსა და სველ წერტილებს. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია როგორც კომუნალური გადასახადების ქვითრებით, ასევე ფაქტობრივი გარემოებით — კერძოდ, ვიზუალური დათვალიერებითა და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** კოლეჯს ჰყავს 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლებსაც გავლილი აქვთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სრული აკრედიტებული პროგრამა, რაც დასტურდება შესაბამისი ვადიანი სერტიფიკატებით. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი და დირექტორთან წარდგენილია დოკუმენტი - „მითითებები“, კოლეჯის მდგომარეობის შეფასებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე. კოლეჯის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შრომის უსაფრთხოების დაცვის თაობაზე ინფორმაცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის N198356 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის შენახვის, განკარგვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის, ჩამოწერის და უტილიზაციის წესები“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პრაქტიკული სწავლების მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებით, დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას სასწავლო მიზნებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოსაყენებელი ინვენტარის, სახარჯი მასალისა და ნედლეულის თაობაზე
(მახასიათებლები და რაოდენობა), მოდულის დაწყებამდე, აგრეთვე მოდულის მიმდინარეობისას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელებისთვის, პრაქტიკული სწავლების მენეჯერის მიმართვის საფუძველზე, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი აწარმოებს ბაზრის კვლევას, ხოლო შემდეგ ახორციელებს საჭირო რაოდენობის სასწავლო მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას, როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და საწყობის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით, შემოსული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მოდულის მიმდინარეობისას სისტემატიურად აწარმოოს გამოყენებული ან/და დაზიანებული ინვენტარის, მასალისა და ნედლეულის აღრიცხვიანობა და შესაბამის ინფორმაცია (წესის დანართად დამტკიცებული ფორმის მიხედვით) წარუდგინოს პრაქტიკული სწავლების მენეჯერს, რომელიც აწვდის ინფორმაციას მწყობრიდან გამოსული/დაზიანებული ინვენტარის შესახებ შესაბამის სამსახურებს არა უგვიანეს ერთი თვისა. პროგრამის დასრულების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელის და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროდუქცია წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება სამი წლის ვადით. სასწავლო მასალების ხარჯვის უწყისები ინდივიდუალური ან ჯგუფური ინახება პრაქტიკული სწავლების მენეჯერთან. საბოლოოდ ხარჯვის უწყისების გათვალისწინებით დგინდება გაუხარჯავი მასალა-ნედლეულის მარაგების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება მომდევნო ჯგუფების სასწავლო მასალების მოთხოვნისას. დადგენილია უტილიზაციის წესი და ფორმა (წესის დანართი 4).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N334 ბრძნებით (ბოლო ცვლილება 2024 წლის 29 აგვისტოს 28151 ბრძანება) დატკიცებულია "სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების რომელიც ითვალისწინებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპებს, მათ შორის მატერიალური რესურსების შეფასების მიმართულებით. კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული პროფესიული სტუდენტების კითხვარები მოიცავს მატერიალური რესურსის შეფასების საკითხს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური რესურსის შეფასების მიმდინარე აქტივობა გაწერილია კოლეჯის 2026 წლის სამოქმედო გეგმაში, რომლის ერთ-ერთი (5.4) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მატერიალური რესურსის მართვის ნაწილში მითითებულია, რომ „მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, მონიტორინგის კონკრეტული ვადა განისაზღვრება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით. შეფასების შედეგებზე ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება".

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. კოლეჯის შენობაში მოწყობილია სანიტარული კვანძები, გამიჯნული - ქალებისა და მამაკაცებისთვის. სველი წერტილები ადაპტირებულია შშმ პირთათვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებითა და ვენტილაციით, ასევე ჰიგიენის საშუალებებით. დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

9. დაწესებულების არსებულ სასწავლო ფართსა და ბიბლიოთეკას, ასევე ადმინისტრაციულ ფართსა და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ორივე მისამართზე ბიბლიოთეკის სივრცეში მოწყობილია სამკითხველო დარბაზი. განათება უზრუნველყოფს შრომის და სწავლის შესაბამის, უსაფრთხო პირობებს

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

10. კოლეჯის სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვისგამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულების არც ერთ მისამართზე არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეები. პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია სამასწავლებლოში. ორივე მისამართზე, მათ შორის რუსთავის C კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი. რუსთავის მისამართზე სასაწყობო სივრცე მოწყობილია განცალკევებით მდგომ შენობაში. საარქივო დოკუმენტებისთვის გამოყოფილია ცალკე ოთახი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

11. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 მაისის N135 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯ მოდუსის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი", რომლითაც რეგულირდება საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის პირობები. აღნიშნული წესი გამოკრულია საბიბლიოთეკო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სივრცეში, სადაც განთავსებულია 3 პერსონალური კომპიუტერი მოსარგებლეთათვის. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნებადართულია სასწავლო მასალების ამობეჭდვა ან/და ასლის გადაღება. კოლეჯის ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე პროგრამების მიხედვით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. საბიბლიოთეკო რესურსების დაკომპლექტება და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსება ხდება სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ, რომლის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფის ფუნქცია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- მატერიალური ფასეულობის მართვის დოკუმენტაცია;
- სანიტარული კვანძების დასუფთავების განრიგი;
- საგადასახადო ანგარიშფაქტურები - წყალი, დენი, გაზი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაცია (მითითებები, ინსტრუქტაჟების ჩატარების მტკიცებულებები);
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმები;
- ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და საწყობის მენეჯერის, ლოჯისტიკის სპეციალისტის, დამლაგებლის, მეეზოვის; სტუდენტური სერვისების მენეჯერის, სასწავლ პროცესის ორგანიზების მენეჯერის სამუშაო აღწერილობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯის რუსთავის მისამართის A და B კორპუსისა და მარნეულის მისამართისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს 2022 წლის 17 ნოემბერის NMIA 2 22 03249069 წერილისა და მასზე თანდართული სახანძრო უსაფრთოხების ზედამხედველობის სახანძრო- ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის N199 (რუსთავი) და აქტის N3 (მარნეული) საფუძველზე, დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. დაწესებულებამ აგრეთვე წარმოადგინა სსიპ ,,საგანმაანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევა. **რაც შეეხება C კორპუსს, წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გულისხმობდა 2025 წლის ივლისისთვის, ახალი შენობის უსაფრთხოების დოკუმენტის მიღებას, ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი.მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა C კორპუსის ექპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებული დოკუმენტები და შენობის მდგრადობის დასკვნა, თუმცა დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ დათქმულ დროში რიგი მიზეზების გამო ვერ მოესწრო ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელება და ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,სპორტი" გარემო გადმოიტანეს კოლეჯის A კორპუსში. რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ძირითად სასწავლო კორპუსს. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ მიმდინარე ეტაპისთვის C კორპუსი არ არის გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებაში პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 20 დეკემბერის N395 ბრძანების დანართი 4-ით. ინსტრუქციის მიხედვით, პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევაზე რუსთავის მისამართზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებელია უსაფრთხოების უფროსი და უსაფრთხოების ცვლის უფროსი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. კოლეჯის ორივე მისამართზე უსაფრთხოების თანამშრომლების ოთახში განთავსებულია პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები. პირველადი დახმარების გაწევაზეპასუხისმგებელი პირი აწარმოებს აღრიცხვის ჟურნალს, მასში მიეთითება პირველადი დახმარების გაწევის საჭიროების პირის სახელი, გვარი, შემთხვევის აღწერა, თარიღი, დრო და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. კოლეჯის ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია ინფორმაცია პირველადი დახმარებით სარგებლობის თაობაზე - საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში დაკავშირება. პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების ადგილზე ასევე გამოკრულია უსაფრთხოების ნორმების დაცვის წესი და განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის N396 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 30 იანვრის MES 6 25 0000081249 ბრძანება) დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა და შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი.წევრებს შორის განაწილებული ფუნქციებით. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან - საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია უსაფრთხოების ცვლის უფროსი. **რაც შეეხება C კორპუსს, წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გულისხმობდა 2025 წლის ივლისისთვის, ახალი შენობის უსაფრთხოების დოკუმენტის მიღებას და შენობის საევაკუაციო გეგმაში ასახვას.**

**ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი.მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა C კორპუსის ექპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებული დოკუმენტები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,სადაც შენობა ასახული იქნებოდა საევაკუაციო გეგმაში და შენობის მდგრადობის დასკვნა, თუმცა დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ დათქმულ დროში რიგი მიზეზების გამო ვერ მოესწრო ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელება. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტი“ გარემო გადმოიტანეს კოლეჯის A კორპუსში. რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ძირითად სასწავლო კორპუსს. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ მიმდინარე ეტაპისთვის C კორპუსი არ არის გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის.**

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯში დამტკიცებული შრომის შინაგანაწესის მე-11 მუხლი ადგენს შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგად ნორმებს. კოლეჯს ჰყავს ერთი უსაფრთხოების უფროსი, მასზე დაქვემდებარებული უსაფრთხოების ცვლის უფროსები და უსაფრთხოების მორიგეები. ფუნქცია მოვალეობების შესაბამისად, კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა განსაზღვრული აქვთ ცვლის მორიგეებს. კოლეჯის ტერიტორიაზე შესაბამის სივრცეებში გამართულია უსაფრთხოების კამერების სისტემა. სამეთვალყურეო კამერების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

  

მონიტორინგის წარმოება შედის უსაფრთხოების უფროსის მოვალეობაში. კოლეჯის ტერიტორიაზე, შესაბამის სივრცეებში გამოკრულია ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის გამაფრთხილებელი ნიშნები. კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 29 თებერვლის N243316 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, 2025 წლის 25 თებერვლის N MES 1 25 0000204580 ბრძანებით (რომელიც ვებ გვერდზეა განთავსებული) განსაზღვრულია ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი,რომელშიც არსებითად დეკლარირებულია ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების ადგილები და მიზნები. აუდიტორიებთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ ხდება არა ვიდეოკონტროლი არამედ ვიდეო ჩაწერა. ვიდეომონიტორინგის ჩანაწერებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირებად მითითებულია დირექტორი, IT სპეციალისტი და კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილების მქონე პირები. ინფორმაციის შენახვის ვადად განსაზღვრულია 30 დღე.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალი;
- IT სპეციალისტის, უსაფრთხოების ცვლის უფროსის, უსაფრთხოების ცვლის მორიგეების სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
